ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №11

ქ. თბილისი

24.08.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
მარინა უშვერიძე - PH International სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;
ქეთევან ჭკუასელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების სამმართველოს კოორდინატორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ერუდიტის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
ქეთევან ჯანუაშვილი - დირექტორი;
ირმა ლორია - ხარისხის მართვის მენეჯერი;
თათია ზარქუა - იურისტი.

შპს თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
დარეჯან ქადაგიძე - დირექტორი.

შპს NK-ის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
ნუგზარ ყენია - დირექტორი.

შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
მარინე გელაშვილი - დირექტორის მინდობილი პირი;
თამარ კიკნაძე - სასწავლო პროგრამების მენეჯერი.

შპს მზეკაბანის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
ბელა გოცირიძე - დირექტორი;
ფიქრია ფეიქრიშვილი - დირექტორის მოადგილე აღმზრდელობითი დარგში;
თეა ტყებუჩავა - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

შპს სასწავლო ცენტრი მერმისის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
ლალი აბაშიძე - დირექტორი.

შპს ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატის" წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
ლამზირა ბიწაძე - დირექტორი;
დარეჯან ფუტკარაძე - დირექტორის მოადგილე.

შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
რომან ტიკაძე - დირექტორი;

შპს კერძო სკოლა ივერონის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
მარიამ დარჩაშვილი - დირექტორი;
ციალა ჯაფარიძე - სკოლის დამფუძნებელი;

შპს ახალი ქართული სკოლის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:
მადონა ლანჩავა - დირექტორი;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ნინო ფეტვიაშვილი;
მანანა თურქაძე;
ლიანა კობესაშვილი;
ლალი ბერიშვილი;
ნინო ბალანჩივაძე;
ნოდარ ანგურიძე;
თამარ ჩხიკვაძე;
მაია სიხარულიძე;
ლელა ფიცხელაური;
ნელი ნასყიდაშვილი;
ირინა ჭელიძე;
ქეთევან რეხვიაშვილი;
ნატო სანაია;
დავით ჭეიშვილი;
დიმიტრი პოპოვი;
მიხეილ მინდაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:42 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ერუდიტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ნუნუ ავაგუმაშვილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს მზეკაბანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს სასწავლო ცენტრი მერმისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს NK-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს კერძო სკოლა ივერონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს ახალი ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს შუამდგომლობით მიმართა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ შემოსული იყო შპს ნუნუ ავაგუმაშვილის კორესპონდენცია, მათი საკითხის მომდევნო საბჭოს სხდომაზე გადატანის მოთხოვნით. საბჭომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა, შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

1. შპს ერუდიტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს მზეკაბანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს სასწავლო ცენტრი მერმისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს NK-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა-აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს კერძო სკოლა ივერონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს ახალი ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს ერუდიტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა წარადგინა.

ექსპერტის თქმით, სკოლა საგანმანათლებლო პროცესს კერძო სახლის ტიპის შენობაში ახორციელებდა. სკოლაში სულ 14 საკლასო ოთახი იყო. სკოლას ფლობის დოკუმენტაცით უფრო მეტი სასწავლო მერხი უფიქსირდებოდა, ვიდრე მატერიალური სახით. ექსპერტის თქმით, სკოლა შეძენილი მერხების მიღებას ელოდებოდა.

ექსპერტმა სკოლის პედაგოგებთან და მშობლებთან გასაუბრებით განსაკუთრებული კმაყოფილება გამოხატა. სკოლას გააჩნდა შესაბამისი მატერიალური ბაზა. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო დამატებითი საგნები ლოგიკაში, სახალისო მათემატიკასა და კრიტიკული აზროვნებისთვის კითხვაში. სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა თემატური კლუბებიც.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ხარვეზები არ გამოვლენილა. მისივე თქმით, სკოლა, არსებული რესურსის გათვალისწინებით მაქსიმუმ 180 მოსწავლის მიღებას შეძლებდა.

საბჭოს წევრი, მარინა უშვერიძე დაინტერესდა, რა პროგრამით ხდებოდა სკოლაში ტოლერანტობის დამატებითი საგნის სწავლება. სკოლის წარმომადგენლის თქმით, საგანს სამოქალაქო განათლების პედაგოგი ასწავლიდა, რომელიც სხვადასხვა რესურსებს იყენებდა და არა ერთ სახელმძღვანელოს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ერუდიტისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ერუდიტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404897359) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

2. შპს ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა წარადგინა.

ექსპერტის თქმით, პროგრამულ ნაწილში დაფიქსირებული მცირედი უზუსტობები ვიზიტის ფარგლებშივე გასწორდა. სკოლამ ვიზიტის პერიოდში ექსპერტებს წარუდგინა ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. დაწესებულების პერსონალმა ცვლილებები შეიტანა სკოლის მისიაში, ცვლილებები განხორციელდა შემაჯამებელი დავალებების კუთხითაც - დაემატა პრაქტიკული შინაარსის დავალებებიც.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რა იყო პირველი სემესტრის შემდგომ განხორციელებული ცვლილებების მოტივი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შესწავლის შედეგად გააზრებულ იქნა შემაჯამებელი დავალებების ტიპების მრავალფეროვნების საჭიროება, რის შედეგადაც კათედრის სხდომაზე გაცემულ იქნა რეკომენდაცია სასურველი ცვლილებების განხორციელების შესახებ. დავალებებს დაემატა კველვითი და ზეპირი კომპონენტებიც, რითიც პედაგოგები კმაყოფილებას გამოხატავდნენ. წარმომადგენლის განცხადებაზე ექსპერტმა დამატებით დასძინა, რომ სკოლამ დაიწყო ელექტრონული პროგრამის „სქულბუქის" გამოყენება, მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის მიზნით.

ექსპერტის თქმით, სკოლის შენობას გააჩნდა 3 სართული, 20 საკლასო ოთახით და 460 ინდივიდუალური სასწავლო მერხითა და სკამით. სასკოლო ფართზე განთავსებული იყო 10 სამეთვალყურეო კამერა (მათ შორის - 2 გარ კამერა). სკოლის შიდა კამერები სრულად ვერ აკონტროლებდა სასკოლო ფართს, რის გამოც სკოლამ დამატებით შეიძინა და დაამონტაჟა 4 სამეთვალყურეო კამერა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ცვლილება შევიდა სკოლის შინაგანაწესში, მასწავლებელთა წახალისების ფორმების ნაწილში. სკოლას სულ 43 პედაგოგი ჰყავდა, მათ შორის 9 უფროსი, დანარჩენი - პრაქტიკოსი. ექსპერტის თქმით, პედაგოგებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული ხელშეკრულების ვადა. ექსპერტთა ჯგუფის მითითებით, აღნიშნული საკითხი გასწორდა, თუმცა ვიზიტის ფარგლებში, პედაგოგების ადგილზე არყოფნის გამო, სრულ პერსონალთან ხელშეკრულებების ხელახალი გაფორმება ვერ მოხერხდა.

ექსპერტის თქმით, სკოლას გაეწია რეკომენდაცია, მოსწავლეთა გასააქტიურებლად სხვადასხვა თემატური კლუბების შექმნის თაობაზე.

განხილვის დასასრულს, თავმჯდომარის კითხვაზე პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახალი სტრატეგიით, სკოლა უმთავრეს მიზნად მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას ისახავდა, რის მიღწევასაც სასკოლო თვითმმართველობის შექმნითა და კლუბური მუშაობებით აპირებდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 460-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარს (საიდენტიფიკაციო კოდი: 209471258) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 460-ით.

3. შპს მზეკაბანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნინო ბალანჩივაძემ წარადგინა. ექსპერტის თქმით, ვიდრე სკოლა ამჟამინდელ მისამართზე გააგრძელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას, დაწესებულების შენობა მდებარეობდა ქ.რუსთავში, ჭავჭავაძის ქ. №15-ში. დაწესებულების ფართის ოდენობა, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, შეადგენდა 700 კვ.მ.-ს, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში იყო და პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (ქირავნობით) იყო გადაცემული სკოლისთვის 2018 წლის ივნისამდე.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ როგორც დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, ამჟამინდელ ფართს დაწესებულება 2014 წლის იანვრიდან იყენებდა. ცენტრში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდებოდა, რომ შენობა-ნაგებობა 2012 წლის 9 ნოემბრიდან სკოლა „მზეკაბანის" საკუთრება იყო. ამასთან, მისამართის ცვლილება, ოფიციალურად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის სკოლის დირექციას არ უცნობებია. თუმცა 2014 წლის თვითშეფასების წლიურ ანგარიშში აღნიშნული მისამართი დაფიქსირებული იყო.

ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ცვლილება ეცნობა რესურსცენტრს - აღნიშნული ინფორმაციის გაცემის გარეშე, სკოლა ვაუჩერს ვერ მიიღებდა. წარმომადგენლის თქმით, ფართთან დაკავშირებული საკითხი შემდგომში რესურსცენტრს უნდა მოეგვარებინა.

აღნიშნულის პასუხად, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რესურსცენტრისთვის ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ ვაუჩერთან დაკავშირებული საკითხის მოგვარებას ემსახურებდა, რისგან დამოუკიდებლად, დაწესებულებას ცენტრისთვის აუცილებლად უნდა მიეწოდებინა ფართის ცვლილების შესახებ ინფორმაცია. ექსპერტმა განმეორებით აღნიშნა, რომ სკოლის მიერ ცენტრისთვის მიწოდებულ წლიური თვითშეფასების ანგარიშში, აღნიშნული ინფორმაცია მითითებული იყო, თუმცა დაწესებულებას პირდაპირი მიმართვის წერილით ფართის ცვლილების შესახებ ცენტრისთვის არ უცნობებია.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ e-school-ის სისტემა არ იყო იმგვარად მოწყობილი, რომ ცენტრს დაწესებულების მიერ ფართის ცვლილების შესახებ შეტყობინება ავტომატურად მისვლოდა, რათა შემდგომი მონიტორინგი განხორციელებულიყო. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად აღნიშნა, რომ რესურსცენტრს სკოლისთვის ცენტრისთვის ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობის შესახებ არ უცნობებია.

ექსპერტის ცნობით, სკოლა „მზეკაბანი" სასწავლო პროცესს ძირითადად შენობის მე-2 სართულზე ახორციელებდა, სადაც ვიზუალური დათვალიერებით განთავსებული იყო 12 საკლასო ოთახი, რომელთაგანაც ერთ საკლასო ოთახში, სადაც მე-3 კლასის 3 მოსწავლეს უტარდებოდა გაკვეთილები, დამონტაჟებული იყო გათბობის ქვაბი. რაც შეეხებოდა შენობის

პირველ სართულს, ვიზუალური დათვალიერებით დასტურდებოდა, რომ სასწავლო პროცესისთვის მხოლოდ 2 საკლასო ოთახი იყო განკუთვნილი, დანარჩენი ფართი კი სკოლა-ბაღ „მზეკაბანს" ეთმობოდა, სადაც 48 აღსაზღდელი იღებდა სკოლამდელ განათლებას. სკოლა და საბავშვო ბაღი ერთმანეთისგან გამიჯნული არ იყო, თუმცა, ექსპერტთა რეკომენდაციით, სკოლის დირექციამ გამიჯნა სკოლა და ბაღი - სკოლას დაეთმო შენობის პირველ სართულზე 2 საკლასო ოთახი შენობის იმ ნაწილში, სადაც ბაღის აღსაზრდელები ნაკლებად იმოძრავებდნენ.

საბჭოს წევრის, ქეთევან ჭკუასელის კითხვაზე პასუხად, ექსპერტმა დაზუსტებით აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღი და ის არ წარმოადგენდა სკოლამდელი მომზადების ჯგუფს - საბავშვო ბაღში იყო აღსაზრდელთათვის განკუთვნილი საძინებელი ოთახიც. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ბაღი ადგილობრივ თვითმმართველობას ექვემდებარებოდა. საკლასო ოთახში განთავსებულ ქვაბს რაც შეეხება, დაწესებულება მას ან ოთახიდან გაიტანდა ან კლასს გადაიყვანდა სხვა საკლასო ოთახში.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას არ გააჩნდა სპორტული დარბაზი, თუმცა სპორტის გაკვეთილებისთვის არასტანდარტულ ოთახს იყენებდა. ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ სპორტული და კლასგარეშე აქტივობებისთვის განკუთვნილი ოთახით სკოლა და ბაღი ერთობლივად სარგებლობდა - საჭირო იყო იმის უზრუნველყოფა, რომ სასკოლო და სკოლამდელი აქტივობების განხორციელებისას ორ დაწესებულებას ერთმანეთისთვის ხელი არ შეეშალა, რისთვისაც სავალდებულო იყო სასკოლო და სკოლამდელი სივრცის ერთმანეთისგან გამიჯვნა.

სკოლის ლაბორატორიისთვის განკუთვნილ ოთახში ტარდებოდა გაკვეთილებიც, ოთახს არ გააჩნდა გამწოვი და იყო კუსტარულად მოწყობილი ხელსაბანი. სკოლას გააჩნდა ორი საერთო სველი წერტილი. სველი წერტილის განყოფილებები არ იყო ერთმანეთისგან გამიჯნული. მესამე სველი წერტილი მასწავლებლებისთვის იყო განკუთვნილი. სველი წერტილებიდან არცერთი არ იყო ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, გოგონებისთვის განკუთვნილი სველ წერტილზე განყოფილებები გამიჯნული იყო. დაწესებულებამ ასევე განაცხადა, რომ ერთ-ერთი სველი წერტილის ადაპტირება უკვე მოხდა და წარმოადგინა დამადასტურებელი ფოტომასალა. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ სკოლის შენობაში კიდევ 2 სველი წერტილი იყო, თუმცა ისინი საბავშვო ბაღს ეკუთვნოდა, ბიჭების სველი წერტილი კი გაუმიჯნავი იყო.

ექსპერტის ცნობით, დაწესებულებას გააჩნდა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, თუმცა, ვიზიტის დროს, ადგილზე არ აღმოჩნდა ზოგიერთი დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოები პედაგოგებისთვის: მე-10 კლასის სამოქალაქო განათლების, მე-7 კლასის „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლებისა" და მე-9 კლასის ხელოვნების მასწავლებლის სახელმძღვანელოები. ადგილზე, სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული სახელმძღვანელოები მასწავლებლებს ჰქონდათ გატანილი, თუმცა სარეგისტრაციო ჟურნალში მათი ხელმოწერა არ ფიქსირდებოდა.

ექსპერტის თქმით, სკოლის ორ შესასვლელთან დამონტაჟებული იყო თითო სამეთვალყურეო კამერა, როცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანება სკოლას გარე პერიმეტრზე არანაკლებ 2 სამეთვალყურეო კამერის დამონტაჟებას ავალდებულებდა.

სკოლას ექსპერტებისთვის არ წარმოუდგენია ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა. როგორც ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, ექვსწლიანი სამოქმედო გეგმის წარმოდგენა სკოლისთვის ცენტრს არ მოუთხოვია. საბჭოზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა ძველი ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა, როგორც თავად განაცხადა, ცენტრის შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა სკოლას განუმარტა, რომ სკოლის მიერ

საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენამდე ახალი გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის (2016-2022) წარმოდგენა სავალდებულო არ იყო. ლევან მადათოვმა აღნიშნული საბჭოს სხდომაზეც დაადასტურა.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის პედაგოგებიდან შვიდმა სქემაში ჩართვისგან თავი შეიკავა, ხოლო სამი პედაგოგი 2016 წლიდან იყო სკოლაში დასაქმებული და სქემაში ჩართვა ვერ მოასწრეს. პროგრამულ ნაწილს რაც შეეხება, ექსპერტის თქმით, სკოლას იგივე ხარვეზები უფიქსირდებოდა, რაც კერძო სკოლების უმრავლესობას. ვიზიტის დროს, სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია, კათედრებს ყურადღება გაემახვილებინათ ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორების ამოქმედების მექანიზმებსა და შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრაში. გარდა აღნიშნულისა, სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლამ ცხადჰყო, რომ 2015-2016 სასწავლო წლის ბოლოს განსაზღვრული იყო კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები რვა ძირითად საგანში, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ასევე, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდებოდა, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდებოდა წინასწარ შემუშავებული პირობითი ფერებით, ღიმილებითა და ვარსკვლავებით, რაც ასევე წინააღმდეგობაში მოდიოდა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

14:00 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 14:15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მზეკაბანისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 1
წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა მარინა უშვერიძემ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს მზეკაბანს (ს/კ:216378818) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულებას განუმარტა, რომ გადაწყვეტილება დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებს ეფუძნებოდა და არა ცალსახად სკოლის მიერ შენობის ცვლილების საკითხს, როგორც დაწესებულების წარმომადგენლები აღიქვამდნენ. ასევე, სკოლა ვალდებული იყო, პირველ სექტემბრამდე, მოსწავლეთა სხვა ავტორიზებულ დაწესებულებაში გადაყვანა უზრუნველეყო. შესაბამისად, სკოლა ერთი სასწავლო წლის შემდეგ იქნებოდა უფლებამოსილი ხელახლა შეეტანა საავტორიზაციო განაცხადი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა წარადგინა. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში ვიზიტის დროს, ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით არსებითი ხარვეზები არ გამოვლენილა. ექსპერტის თქმით, სამეთვალყურეო კამერებთან დაკავშირებული პრობლემა ვიზიტის მსვლელობისას მოგვარდა. სკოლას ვიზიტისას 384 ინდივიდუალური სასწავლო მერხი და სკამი გააჩნდა, რაც 410 ერთეულამდე გაიზარდა. სკოლაში იყო 24 საკლასო ოთახი და 32 კომპიუტერი. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლას, 410 მოსწავლის დასაკმაყოფილებლად, საკმარისი რესურსი გააჩნდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 410-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დაწესებულებას შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნეს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204418825) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 410-ით.

5. შპს სასწავლო ცენტრი მერმისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ წარადგინა. ექსპერტის განცხადებით, სკოლას სპორტის სახეობათა ჩამონათვალიდან საბაზო-საშუალო საფეხურზებზე მხოლოდ ორი სახეობა ჰქონდა შერჩეული (ფეხბურთი და მაგიდის ჩოგბურთი). ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე, სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა მომავალი სასწავლო წლიდან მესამე სპორტულ სახეობად ჭადრაკს დაამატებდა, რომელიც გასულ სასწავლო წელს სასკოლო სასწავლო გეგმაში წრის სახით იყო წარმოდგენილი. სკოლას საამისოდ გააჩნდა შესაბამისი მატერიალური რესურსი, ჰყავდა პედაგოგი და დანერგილი ჰქონდა ჭადრაკის შესწავლის ელექტრონული პროგრამაც. სკოლის დირექტორმა საბჭოს განუცხადა, რომ გასულ სასწავლო წელს სკოლამ ყურადღება უფრო მიმდინარე პროექტს დაეუთმო, რომელიც ქალაქში დახურული საცურაო აუზის მშენებლობას უკავშირდებოდა - პროექტი წარდგენილი იყო ქალაქის მერიაში და მშენებლობის დასრულების შემდგომ აღნიშნული დარბაზით ისარგებლებდა სკოლაც, შესაბამისად, სკოლა სპორტის ერთერთ სახეობად ცურვის არჩევას გეგმავდა.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ როგორც მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში ფიქსირდებოდა, სკოლას ჰყავდა ექიმი, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის რაიმე მექანიზმი და არც სკოლის ექიმთან დადებულ ხელშეკრულებაში იყო დაკონკრეტებული ექიმის უფლება-მოვალეობანი. ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ დასაქმებულს უნდა შეესრულებინა დირექტორის მითითებები და საჭიროების შემთხვევაში, ემუშავა შაბათ დღეს, ამასთან ეს ყველაფერი უნდა განეხორციელებინა უსასყიდლოდ. სკოლის დირექტორის განმარტებით, მოვალეობები შეთანხმებული იყო სიტყვიერად და ექიმი პერიოდულად ატარებდა მოსწავლეთა ჰიგიენურ-სანიტარულ დათვალიერებას. გარდა აღნიშნულისა, სკოლამ წარმოადგინა სამედიცინო კლინიკა „ბომონდთან" დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, კლინიკა იღებდა ვალდებულებას (უსასყიდლოდ, საქველმოქმედო მიზნით), სკოლის სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე გაეგზავნა შესაბამისი სპეციალობის ექიმი ან მიეღო კლინიკაში პაციენტი, სამედიცინო მომსახურების გასაწევად. აღნიშნული კლინიკა სკოლის მიმდებარედ, ქუჩის საპირისპირო მხარეს იყო განთავსებული.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო სამეთვალყურეო კამერების პარამეტრების დაზუსტება, რაზედაც სკოლის წარმომადგენელმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ უბანში, სადაც სკოლის შენობა იყო განთავსებული, სკოლა ერთადერთი ობიექტი იყო, სადაც სამეთვალყურეო კამერები იყო დამონტაჟებული, რითაც პოლიცია ხშირად სარგებლობდა და გამოსახულების გარჩევადობითაც კმაყოფილნი იყვნენ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ წარმოუდგენია მომავალი სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ასევე, სკოლას 3 პედაგოგის ადგილზე ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსია - აღნიშნული კადრების შევსების შემდგომ, სკოლას ეყოლებოდა საგანმანათლებლო

საქმიანობის სრულყოფილად განხორციელებისთვის აუცილებელი რაოდენობისა და კომპეტენციის ადამიანური რესურსი.

სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე პასუხად, ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას სულ 27 პედაგოგი ჰყავდა - 12 უფროსი, ხოლო 2 პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსით, დანარჩენი კი სქემაში ჩართულები არ ყოფილან. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნულმა პედაგოგებმა არ გამოთქვეს სქემაში ჩართვის სურვილი და ვინაიდან სქემის საპილოტე წელი იყო, დირექტორი პედაგოგებს სქემაში ჩართვას ვერ აიძულებდა. დირექტორის თქმით, ორმა პედაგოგმა სცადა სქემაში ჩართვა, თუმცა ტექნიკური პრობლემის გამო, რეგისტრაცია ვერ მოხერხდა. დირექტორის თქმით, მომდევნო ნაკადზე პედაგოგები, ვალდებულებიდან გამომდინარე, უკლებლივ ჩაერთვებოდნენ სქემაში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდათ თუ არა სქემაში არჩართულ პედაგოგებს ჩაბარებული სასერტიფიკატო გამოცდა, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო. სხდომის თავმჯდომარემ ზოგადად აღნიშნა, რომ სკოლას პედაგოგთა საკმაოდ კარგი ჯგუფი ჰყავდა.

საბჭოს წევრი, მარინა უშვერიძე დაინტერესდა, აპირებდა თუ არა დაწესებულება სკოლის ექიმთან დადებული ხელშეკრულების პუნქტების დაზუსტებას, რაზეც სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლაში არსებობდა ექიმისთვის განკუთვნილი ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც სკოლის ექიმს ძირითადად სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მეთვალყურეობა ევალებოდა, ასევე, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაც, სანამ ექიმები მოვიდოდნენ - მისივე თქმით, სკოლას დახმარებას საავადმყოფოს ექიმთა კოლექტივი უწევდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო ცენტრი მერმისისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სასწავლო ცენტრ მერმისს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212702912) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

6. შპს NK-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ წარადგინა. ექსპერტმა სკოლაში წლიური, კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების ჩატარების შესახებ ისაუბრა, რაზედაც სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, როცა სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება ხდებოდა, მშობლების მოთხოვნა იყო, რომ გამოცდები უცხო ენაში, მათემატიკასა და ისტორიაში ჩატარებულიყო. გამოცდების ჩატარებას პროცესების გაუარესება არ გამოუწვევია, პირიქით - წლის ბოლოს მოსწავლეებს მოსწრება გაუმჯობესებული ჰქონდათ. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბევრ სკოლაში აღინიშნებოდა იგივე პრაქტიკა.

საბჭოს წევრის, ქეთევან ჭკუასელის კითხვაზე პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლისთვის ყველაზე დიდი გამოწვევა და პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ისურვებდა, სკოლის შენობით უზრუნველყოფის ფინანსურ მხარეს ეხებოდა. მისივე თქმით, საკუთარი შენობის ფლობა სკოლას ბევრად გაუუმჯობესებდა სიტუაციას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს NK-სთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დაწესებულებას შპს NK-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 200012743) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260-ით.

7. შპს ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა წარადგინა. ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებას სკოლის ექიმთან ხელშეკრულება ნახევარ განაკვეთზე ჰქონდა გაფორმებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საკითხი უკვე მოგვარებული იყო და მას შეეძლო დადასტურების სახით ახალი ხელშეკრულებაც წარმოედგინა, თუმცა ექსპერტმა აღნიშნა, რომ მას ახალი ხელშეკრულება არ უნდახავს და ვერც ვიზიტის დროს ნანახით შეეძლო დაედასტურებინა, რომ ექიმის კაბინეტი სკოლაში საერთოდ ფუნქციონირებდა - მისივე თქმით, ექიმის სარეგისტრაციო ჟურნალში ჩანაწერები საგანგებოდ ავტორიზაციის პროცესისთვის იყო გაკეთებული და დოკუმენტურად სკოლაში ექიმის მუშაობა ვერ დასტურდებოდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ექიმი ყოველდღიურად ძირითადად ჰიგიენის და სანიტარული საკითხებით იყო დაკავებული ან დახმარებას უწევდა მოსწავლეებს წვრილმანი გართულებების შემთხვევაში, როგორიც იყო, მაგალითად, თავის ტკივილი და სხვა.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებამ მას ვიზიტის შემდგომ ახლად შეძენილი მერხების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მიაწოდა, რომლებიც, ვიზიტის დროს, მერხებისა და სკამების მატერიალურად დათვლისას გათვალისწინებული არ ყოფილა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო, ავტორიზაციის ვიზიტისთვის ყველა მერხი, რომელთა რაოდენობის მიხედვითაც სკოლას მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრა სურდა, განლაგებული ყოფილიყო საკლასო ოთახებში, რადგან დასაწყობებული მერხების დათვლა ჭირდა. ექსპერტმა განაცხადა, რომ მატერიალურად დადასტურებული მერხების რაოდენობა 177 ერთეული იყო, სკოლა კი კონტინგენტის 210 ერთეულით განსაზღვრას ითხოვდა. სკოლას ამჟამად 167 მოსწავლე ჰყავდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მერხების მატერიალურად დადასტურებული რაოდენობის მიხედვით მოხდებოდა.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრა მხოლოდ პირველი, მეორე და მესამე კლასების პედაგოგებს აერთიანებდა. როგორც სკოლის დირექტორმა ექსპერტს ვიზიტის დროს განუმარტა, სკოლაში საგნობრივი სწავლება მეოთხე კლასიდან მიმდინარეობდა და შესაბამისად, დანარჩენი კლასების სხვა საგნობრივ კათედრებთან გაერთიანება მოხდა. ექსპერტის თქმით, დაწყებითი საფეხურის კათედრა 1-6 კლასების შედეგებზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული, რომლებიც უკვე გაწერილი და ხელმისაწვდომი იყო. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, აწარმოებდა თუ არა სკოლა დაწყებით საფეხურზე შედეგების ჯამურ ანალიზს. პასუხად, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას დაწყებითი საფეხურის კათედრის (მხოლოდ პირველიდან მესამე კლასის ჩათვლით) არანაირი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია გარდა რამდენიმე დოკუმენტისა - მისივე დაზუსტებით, სკოლას პირველიდან მესამე კლასის ჩათვლით შემაჯამებელი, განმავითარებელი სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია. სკოლის

წარმომადგენელმა პასუხად განაცხადა, რომ შემაჯამებელი მუშაობები სკოლაში ტარდებოდა, უბრალოდ, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის და შეფასების კრიტერიუმები არ გააჩნდათ და არც აღრიცხვა მომხდარა.

ექსპერტის განცხადებით, ზედა საფეხურებზეც გამოვლინდა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან აცდენა, სწავლის შედეგების იდენტურობასთან დაკავშირებით. სხდომის თავმჯდომარის დაზუსტებით, ცალსახა ტენდენცია იკვეთებოდა, რომ სკოლას შემაჯამებელ დავალებებთან დაკავშირებით არსებითი ხარვეზები ჰქონდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ როგორც გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, სკოლაში დადგენილი სტანდარტების მიხედვით სწავლება არ ხდებოდა. მისივე თქმით, სკოლებს უნდა გაეთავისებინათ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა იყო ზოგადსაგანმაათლებლო საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტი და არა უბრალოდ სახელმძღვანელო.

ექსპერტმა სკოლაში პირველ, მეორე და მესამე კლასებში განმსაზღვრელი შეფასების შესახებ აღნიშნა - მოსწავლეების შეფასება „ღიმილებითა" და ვარსკვლავებით ხდებოდა, რომელთა მნიშვნელობის განმარტება, როგორც გასაუბრებით დადგინდა, მშობლებს არ შეეძლოთ (გარდა „კარგისა" და „ცუდის" მნიშვნელობებისა). ექსპერტის თქმით, შეფასების საკითხებთან დაკავშირებით, ინფორმირების მიზნით, მშობლებთან აქტიური მუშაობა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო.

ექსპერტმა სკოლაში წლიური გამოცდების ჩატარების შესახებაც აღნიშნა, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გამოცდები მხოლოდ წლიური რეიტინგების დასადგენად ტარდებოდა და მოსწავლეთა საბოლოო შედეგებზე გავლენას არ ახდენდა, თუმცა, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, გამოცდების შედეგების ანალიზი ექსპრტთა ჯგუფისთვის სკოლას არ წარმოუდგენია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გასაუბრებისას პედაგოგებმა შემხვედრი პოზიცია აჩვენეს და განაცხადეს, რომ მზად იყვნენ ყველა რეკომენდაცია გაეთვალისწინებინათ. სკოლას 7 უფროსი და 21 პრაქტიკოსი პედაგოგი ჰყავდა. სკოლის ყველა პედაგოგი ჩართული იყო სქემაში.

საუბარი შეეხო სპორტული მოედნის საკითხსაც, რომელიც სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნდა. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამომავლოდ სკოლის ეზოში სპორტული მოედნის მოწყობა იგეგმებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ ტერიტორია, რომლის შესახებაც სკოლა საუბრობდა, არ იყო სკოლის მფლობელობაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნაკვეთ?ი უბრალოდ რეესტრში არ იყო დაფიქსირებული და მისი იჯარით აღება შესაძლებელი იყო.

განხილვის დასასრულს, ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ საჭირო იყო ცენტრს პერიოდულად განეხორციელებინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გეგმიური მონიტორინგები და არ დალოდებოდა შემოსულ საჩივრებს.

16:23 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:38 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატისთვის" ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 177-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა: გიორგი გიგიბერიამ და თამარ ფხალაძემ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარულ საშუალო სკოლა „ორნატს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 230068066) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 177-ით.

8. შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ქეთევან რეხვიაშვილმა წარადგინა. ექსპერტის თქმით, სკოლაში ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით ხარვეზები არ გამოვლენილა. სკოლას სამ სართულზე 21 საკლასო ოთახი და აუდიოტექნიკით აღჭურვილი სააქტო დარბაზი გააჩნდა. სკოლაში 28 პედაგოგი იყო დასაქმებული. სკოლაში მიმდინარეობდა კათედრების მონიტორინგი და მუშაობდა პედაგოგთა წახალისების სისტემაც, რომლებიც პედაგოგთა მიღწევებს ეფუძნებოდა. დირექციის წარმომადგენლები პერიოდულად ესწრებოდნენ გაკვეთილებს და ხდებოდა მონიტირონგის შედეგების დოკუმენტირება.

სხდომის თავმჯდომარე სკოლაში არსებული „მოსწავლეთა დაცვის კლუბის" საქმიანობით დაინტერესდა. სკოლის წარმომადგენლის თქმით, კლუბის წევრები ბავშვთა უფლებების შესწავლითა და თემატური კონფერენციების მოწყობით იყო დაკავებული.

ექსპერტის თქმით, სკოლას გააჩნდა შემაჯამებელი დავალებების შეფასების გამართული სისტემა, მონაცემები მუშავდებოდა გრაფიკულად და წარმოებდა მათი ანალიზი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 209451573) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

9. შპს კერძო სკოლა ივერონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა წარადგინა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საყურადღებო იყო მოსწავლეთა საათობრივი დატვირთვის საკითხი - ექსპერტის თქმით, დათვირთვა გონივრულად უნდა ყოფილიყო გაწერილი, რათა მოსწავლე დასვენებითა და სათანადო კვებით ყოფილიყო უზრუნველყოფილი. პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დამატებითად, სავალდებულო საგნის სახით სკოლა მოსწავლეებს რელიგიის ისტორიას სთავაზობდა, რის გამოც ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი, ყოველკვირეული საერთო დატვირთვა მხოლოდ 3 საათით იყო გაზრდილი, პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით. ასევე, სკოლა მოსწავლეებს ორჯერადი კვებით უზრუნველყოფდა და დასვენებისა და განტვირთვისთვის უფასო ხატვის გაკვეთილებს სთავაზობდა.

სკოლის დირექტორმა საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებას ერთერთი კოლეჯთან სპორტული მოედნით სარგებლობის შესახებ მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული, რომელიც საკუთარი ხარჯებით გაარემონტა.

წარმომადგენლის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტს პედსაბჭო პარტნიორთა საბჭოსთან ერთად განიხილავდა, რის შემდეგაც დასამტკიცებლად წარუდგენდა სკოლის დირექტორს. წარმოებდა აღნიშნული სხდომების ოქმებიც.

ექსპერტის თქმით, სკოლაში შეფასების რამდენიმე ფორმას იყენებდნენ. სკოლას შემუშავებული ჰქონდა მოსწავლის სოციალური დიაგრამის ფორმულა და მოსწავლეთა დახასიათების ფორმებიც, რაც ბავშვის უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენას ემსახურებოდა. ეს უკანასკნელი განკუთვნილი იყო თითოეული მოსწავლის მშობლისთვისაც, რათა მშობელს ინფორმაცია ჰქონოდა საკუთარი შვილის განვითარებული და გასავითარებელი უნარების შესახებ. სკოლა აწარმოებდა მოსწავლეთა ინდივიდუალური დახასიათების ფორმებსაც. სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა საერთო SWOT-ანალიზიც.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, ბიბლიოთეკის გადატანა უფრო დიდ ფართზე მოხდა. ასევე, სკოლამ დაამატა 3 სამეთვალყურეო კამერა და შეიძინა ახალი სახელმძღვანელოები, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარმოდგენილ იქნა საბჭოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კერძო სკოლა ივერონისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დაწესებულებას შპს კერძო სკოლა ივერონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211333305) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220-ით.

10. შპს ახალი ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა წარადგინა. ექსპერტის თქმით, სკოლაში უმნიშვნელო და მცირე რაოდენობით ხარვეზები დაფიქსირდა. დოკუმენტურად, სკოლას ყველაფერი რიგზე ჰქონდა, თუმცა, მოსწავლეების ამ ეტაპზე არყოლის გამო, გარემოებათა პრაქტიკული დადასტურება ვერ მოხერხდებოდა. ექსპერტის თქმით, ხელშეკრულებაში შეცდომით იყო გაწერილი ერთერთი პედაგოგის ფუნქციები, რაც ტექნიკური ხასიათის ხარვეზი იყო და ადგილზევე გასწორდა. სკოლას გააჩნდა საკმარისი რაოდენობით მატერიალური რესურსი, სამეთვალყურეო კამერებიც აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს, სკოლას გააჩნდა სპორტული დარბაზიც და მოსწავლეებს სკოლის მიკროავტობუსები მოემსახურებოდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი ქართული სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 210-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დაწესებულებას შპს ახალ ქართულ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 404909532) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 210-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე